პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

,,ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის №177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05.05.2021, №010250020.35.123.016580), კერძოდ დადგენილების მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

,,3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სამართლის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები უფასოდ გადაადგილდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე .“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

იოსები ხახალეიშვილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

განმარტებითი ბარათი

,,ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის №177 დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

დადგენილების პროექტის მიზეზია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე მგზავრობის ტარიფის შეღავათიანი ფასდაკლებით უფასო სარგებლობის უფლებით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სამართლის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები.

ბ. პროექტის მიღების მიზანი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სამართლის –ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებით თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ა) პროექტის მიღებასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის მიღების ინიციატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი - იოსები ხახალეიშვილი.

4. დადგენილების პროექტის შემდგენელი:

დადგენილების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური.

5. საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

იოსები ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი